

ლიზინგის უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია მოძრავ ქონებაზე

რას ნიშნავს მოძრავ ქონებაზე ლიზინგის უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია?

მოძრავ ქონებაზე ლიზინგის უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია არის ამ უფლებაში ცვლილების შესახებ მონაცემთა აღრიცხვა შესაბამის რეესტრში, რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებით.

აღნიშნულის საჭიროება დგება, მაშინ როდესაც ლიზინგის ხელშეკრულების მხარეებს სურთ ხელშეკრულების პირობების შეცვლა.

ვის მივმართო მოძრავ ქონებაზე ლიზინგის უფლებაში ცვლილების რეგისტრაციისათვის?

მოძრავ ქონებაზე ლიზინგის უფლებაში ცვლილების რეგისტრაციისათვის მიმართეთ იუსტიციის სახლს. თან იქონიეთ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება (ელექტრონული განცხადება ივსება საბუთების მიმღები ოპერატორის მიერ);
2. თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
3. ლიზინგის უფლებაში ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგ: ხელშეკრულება);
4. სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (გადახდა შესაძლებელია ადგილზე);

იმ შემთხვევაში თუ თქვენ ხართ დაინტერესებული პირის წარმომადგენელი მაშინ დამატებით წარმოადგინეთ სათანადო წესით დამოწმებული წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

ბოქსის ინფორმაცია:

კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება დამატებით მოთხოვნილ იქნეს ნებისმიერი დოკუმენტი ან ინფორმაცია, რაც აუცილებელია გადაწყვეტილების მისაღებად.

ვადა და საფასური:

მომსახურების ვადა	მომსახურების ტარიფი
დაუყოვნებლივ	30 ლარი